

მირ თემურ მარაშის ერთი ცნობის ინტერპრეტაციისათვის

შესავალი

საყოველთაოდ ცნობილია შუა საუკუნეების სპარსულ წერილობით წყაროთა მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების სიღრმისეულად შესწავლის საქმეში. აქედან გამომდინარე, ინტენსიურად მიმდინარეობდა და ამჟამადაც გრძელდება ქართველ აღმოსავლეთმცოდნე მეცნიერ-მკვლევართა მიერ მათი მოძიება, მათგან საქართველოსა და ქართველების შესახებ ცნობების ამოკრეფა, თარგმნა და შეჯერება სხვადასხვა ენაზე არსებულ წერილობით ძეგლებთან. ამ კუთხით განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ირანში სეფიანთა დინასტიის ბატონობის ხანა (1501-1722), როდესაც სპარსული საისტორიო მწერლობა თავის აყვავების ზენიტში იმყოფებოდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგადაა ცნობილი ხსენებული პერიოდის ისეთი სახელოვანი მემკვიდრეები, როგორებიცაა: ჰასან რუმლუ, შერეფ-ხან ბითლისი, ბუდა' ყაზვინი, ისქანდერ მუნში, ყაზი აჰმედ ყუმი და სხვები. მათ ნაშრომებში უხვი და საყურადღებო მასალა მოიპოვება საქართველოს, ქართველი მეფე-მთავრების, ირანში ნებსით თუ უნებლიეთ მოხვედრილი და აღზევებული ქართველების შესახებ, ასევე მათი როლისა და სტატუსის შესახებ სეფიანთა სამეფო კარზე. ვაგრძელებთ რა სეფიანთა ხანის სპარსული წყაროების მოძიება-შესწავლას საქართველო-ირანის ურთიერთობების კუთხით, ამჯერად ჩვენი ინტერესის ობიექტს წარმოადგენს XVII საუკუნის ირანელი ისტორიკოსის მირ თემურ მარაშის საისტორიო თხზულებაში დაცული ცნობები შაჰ აბას I-ის გარდაცვალების შემდეგ სეფიანთა სამეფო კარზე განვითარებული დრამატულ მოვლენები და მათი შედეგები.

მეთოდი

კვლევა ეფუძნება საისტორიო-წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიაში საერთაშორისოდ აპრობირებული სამეცნიერო კვლევის აკადემიურ მეთოდებს. ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა წერილობით წყაროთა მონაცემების ურთიერთშეჯერების და კრიტიკული ანალიზის მეთოდები, რაც საშუალებას გვაძლევს, სათანადო სისრულით და ოპტიმალური ობიექტურობით წარმოვაჩინოთ ისტორიული წარსულის კონკრეტული მნიშვნელოვანი ფაქტები და მოვლენები.

შედეგები

ნაშრომში წარმოდგენილი და გაანალიზებულია XVII საუკუნის ირანელი მემკვიდრის მირ თემურ მარაშის ნაშრომში „მაჰანდარანის მარაშის საგვარეულოს ისტორია“ არსებული ერთი საყურადღებო ცნობა. კერძოდ, საკითხი ეხება ხოსრო-მირზა ბაგრატიონის (იგივე ქართლის მომავალი ვალის - როსტომ-ხანის) პოზიციას და მის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს შაჰ აბას I-ის შვილიშვილის - სამ-მირზას მიერ ირანის სამეფო

ტახტის დაკავებასთან დაკავშირებით, შაჰ აბას I-ის გარდაცვალების შემდეგ (1629 წ.). სპარსულ წყაროში დაცული აღნიშნული ინფორმაცია ჩვენს მიერ ითარგმნა სპარსულიდან ქართულად, მოხდა მისი შეჯერება პარალელური ცნობების შემცველ სხვადასხვა წერილობით წყაროთა მონაცემებთან, რის საფუძველზეც აღმოჩნდა, რომ მირ თემურ მარაში, განსხვავებული და საინტერესო დეტალებით ავსებს ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილ ისტორიულ რეალობას, კერძოდ, ხოსრო-მირზას გადამწყვეტ როლს უფლისწულ სამ-მირზას გამეფებაში.

მსჯელობა

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ისტორიული წარსულის ცალკეული საკითხების კვლევისას, სხვადასხვა ენაზე არსებულ წერილობით წყაროებს შორის, გამორჩეული ადგილი უჭირავთ სპარსულ-ენოვან საისტორიო ნარატიულ წყაროებს, სხვადასხვა დოკუმენტებს, ფირმანებს, ლიტერატურულ თხზულებებს და სხვ. ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია საუკუნეთა მანძილზე საქართველო-ირანის მჭიდრო ურთიერთობებით. მართალია, ეს ურთიერთობები უმეტესწილად მტრულ ხასიათს ატარებდა, თუმცა იყო ასევე ხანმოკლე მშვიდობიანი ურთიერთობის პერიოდებიც. მათი ურთიერთდამოკიდებულების ნეგატიური და პოზიტიური ფორმების ცვალებადობა უშუალო კავშირში იყო კონკრეტულ პერიოდში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასთან როგორც თითოეული ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე - სამხრეთ კავკასიაში და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე მოვლენებთან.

სეფიანთა ეპოქის (1501-1722) სპარსულ წერილობით წყაროთა შორის, რომლებშიც მოიპოვება ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ, საგანგებო ყურადღებას იმსახურებს XVII საუკუნის ირანელი ისტორიკოსის მირ თემურ მარაშის ნაშრომი „მაზანდარანის მარაშის საგვარეულოს ისტორია“ („თარიხ-ე ხანედან-ე მარაში-ე მაზანდარან“), რომელიც ნაკლებადაა ცნობილი და გამოყენებული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში (მირ თემურ მარაში, 1977). როგორც სათაურიდან ჩანს, ხსენებული ნაშრომი ძირითადად ეძღვნება ირანის კასპიისპირა ოლქის - მაზანდარანში მიმდინარე მოვლენებს და ამ ფონზე წარმოდგენილია იქაური წარჩინებული ფეოდალური საგვარეულოს - მარაშის სეიდების ურთიერთობები სეფიანთა ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ძირითადად შაჰ აბას I-თან და შაჰ სეფი I-თან. სეფიანთა სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ამსახველ ცნობებთან ერთად, ნაშრომი საინტერესო ინფორმაციას შეიცავს ასევე საქართველოსა და ირანში მოღვაწე ქართველების შესახებ. კერძოდ, მასში ცალკე თავები ეძღვნება შაჰ აბას I-ის მიერ 1617 წელს განხორციელებულ სამხედრო ექსპედიციას აღმოსავლეთ საქართველოში და იქაური მოსახლეობის აყრა-გადასახლებას ირანში, ალავერდი-ხან უნდილადის და მისი ვაჟების ურთიერთობებს შაჰ აბასთან და შაჰ სეფისთან, გიორგი სააკადის მიერ ორგანიზებულ მარტყოფის აჯანყებას და მის შედეგებს, ქართლის ვალის - როსტომის (იგივე ხოსრო-მირზა ბაგრატონის) ქმედებებს უფლისწულ სამ-

მირზას გასამეფებლად, მის ჩამოსვლას საქართველოში და ქართლის სამეფო ტახტის დაკავებას და სხვ. გარდა ამისა, მირ თემურ მარაში თავის ნაშრომში არა ერთგზის მოიხსენიებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეს და იქაურ მეფე-მთავრებს ირან-ოსმალეთს შორის მიმდინარე ომების კონტექსტში.

ამჯერად ჩვენი ყურადღება ფოკუსირებულია მირ თემურ მარაშის ნაშრომში დაცულ მხოლოდ ერთ ცნობაზე, რომელიც უკავშირდება შაჰ აბას I-ის გარდაცვალების შემდეგ ირანის სამეფო კარზე განვითარებულ მოვლენებს და ხოსრო-მირზას ქმედებებს შაჰ აბასის შვილიშვილის - უფლისწულ სამ-მირზას გამეფებასთან დაკავშირებით. საქმე ის არის, რომ ირანელი მემატიანე ხსენებული მოვლენების შესახებ სხვა წყაროებისგან განსხვავებულად მოგვითხრობს და საინტერესო დეტალებით ავსებს მათ. ჰიჯრის 1038 წლის (ანუ 1629 წ.) ამბების გადმოცემისას, მირ თემურ მარაში აღნიშნავს, რომ დიდმა სიცხეებმა შაჰ აბასზე ცუდად იმოქმედა და ის ავად გახდა. მას დადიანის და ბაშიაჩუკის მხარეების (სამეგრელოს და იმერეთის - ნ. გ.) დალაშქრა ჰქონდა განზრახული, მაგრამ ავადმყოფობის გამო ეს ლაშქრობა დროებით გადადო და მაზანდარანისკენ გაემართა, ქართველების დასამორჩილებლად გამგზავრება კი მოგვიანებით გადაწყვიტა (მირ თემურ მარაში, 1977: 367). როგორც ჩანს, შაჰი უკვე მოახლოებულ აღსასრულსაც გრძნობდა და ამიტომაც გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე სამეფო ტახტის მემკვიდრის სახელიც გააჟღერა - ეს იყო მისი შვილიშვილი სამ-მირზა, რომელიც მას გამორჩეულად უყვარდა და ანებივრებდა. ირანელი მემატიანე იქვე ამის მიზეზსაც ასახელებს: კერძოდ, ჯერ კიდევ 1615 წელს შაჰ აბასმა ხსენებული უფლისწულის მამა - თავისი უფროსი ვაჟი სეფი-მირზა, უსაფუძლო ეჭვების გამო, სიცოცხლეს გამოასალმა, რომლის დედაც ქართველი იყო. ამ კონტექსტში უპრიანია XVII საუკუნის გერმანელი სწავლულისა და დიპლომატის ადამ ოლეარიუსის (რომელიც 1635-1639 წლებში ირანში იმყოფებოდა ჰოლშტაინის ელჩობის შემადგენლობაში) ცნობის მოხმობა, რომელიც ხატოვნად აღწერს ხსენებულ ტრაგიკულ ამბავს. მისი გადმოცემით, სეფის გამწარებული შვილმკვდარი დედა თურმე შაჰ აბასს სახეში მუშტებს ურტყამდა და ლანძღავდა. შაჰიც ნანობდა თავის საქციელს და ამის გამო ის დიდებულები დახოცა, რომლებსაც სეფის მოკვლა დაავალა (Олеарий, 1870: 861-863).

მირ თემურ მარაშის გადმოცემით, შაჰ აბასს თავისი ცოდვის გამო-სასყიდად სწორედ სამ-მირზას გამეფება სურდა, რათა უსამართლოდ დასჯილი შვილის სამეფო გვირგვინი მის ვაჟს მაინც რეგებოდა. ამასთან, მამის ხსოვნის პატივსაცემად, სამ-მირზა სეფის სახელით უნდა გამეფებულიყო. როგორც ისტორიიდან ცნობილია, სამ-მირზას გამეფებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა შაჰ აბასის კარზე აღზევებულმა ქართველმა ბატონიშვილმა ხოსრო-მირზამ, რომელიც იმ პერიოდში ქ. ისფაჰანის ტარულა იყო. მარაშის ნაშრომში დაცული ცნობის თანახმად, მაზანდარანში - თავის საყვარელ საზამთრო რეზიდენციაში - აშრაფში მყოფმა შაჰ აბასმა ისფაჰანის ტარულას, ყულარადას ხოსრო მირზას შიკრიკი გაუგზავნა სამ-მირზას გამეფების თაობაზე თავისი გადაწყვეტილების შესატყობინებლად. ხოსრო-მირზას კი ეჭვი შეპარვია შიკრიკის გულწრფელობაში. მისი აზრით შესაძლოა,

ეს ტყუილი ან დალატი ყოფილიყო. ის შიშობდა, რომ ამ ინფორმაციის დაჯერების შემთხვევაში, მას შაჰის რისხვა დაატყდებოდა თავს. ყოველივე ამის გამო, მან შიკრიკი უარით გაისტუმრა. იქვე ავტორი გვაცნობს ხოსრო-მირზას, რომელსაც შეცდომით სიმონ მეფის შვილად მოიხსენიებს (ნაცვლად სიმონ მეფის ძმის - დაუთ-ხანის შვილისა - ნ.გ.). მემატიაწე ხაზს უსვამს, რომ ხოსრო-მირზა ირანის ხელისუფლების მხრიდან უდიდესი ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა. განსაკუთრებით დაახლოებული იყო ის უფლისწულ სამ-მირზასთან, რომელსაც ძალიან უყვარდა ხოსრო-მირზა და მუდამ მას ეკითხებოდა რჩევას (მირ თემურ მარაში, 1977: 370).

ამის შემდგომ მირ თემურ მარაში თხრობას აგრძელებს მაზანდარანში მიმდინარე დრამატული მოვლენების აღწერით, სადაც შაჰ აბას I-ის გარდაცვალებამ (1629 წლის 19 იანვარს) დიდი მღელვარება და არეულობა გამოიწვია. აბასის მომხრე დიდებულები შიშობდნენ, რომ მაზანდარანელ მოწინააღმდეგე ძალებს შაჰ აბასის ერთ-ერთი ბიძაშვილთაგანი არ გაემეფებინათ. როდესაც მაზანდარანში ვნებათაღელვამ პიკს მიაღწია, დედაქალაქიდან ზემოთ ხსენებული შიკრიკი დაბრუნდა ხოსრო მირზასა და იქაური დიდებულების საპასუხო წერილით, რომელშიც უარი იყო დაფიქსირებული სამ-მირზას გამეფებასთან დაკავშირებით. წერილში ისფაჰანის ქართველი ტარულა კატეგორიულად მოითხოვდა, რომ მისთვის წარედგინათ „ნამდვილი საბუთი მისი უდიდებულესობის ბეჭდით“ (ანუ შაჰის ანდერძი - ნ. გ.). საბოლოოდ, ეს ყველაფერი იმით დაგვირგვინდა, რომ დიდებულებმა და გარდაცვლილი შაჰის განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილმა ღოლამმა - ალაჰ ბეგმა მოთხოვნილი საბუთი წარუდგინეს უფლისწულ სამ-მირზას ხარში (სადც ის იმხანად იმყოფებოდა დედასთან ერთად - ნ. გ.), რის შემდეგაც სამეფო გვარდიაც ხარისკენ დაიძრა, რათა უფლისწულის მიერ სამეფო ტახტის დაკავების უსაფრთხოება უზრუნველყოფო (მირ თემურ მარაში, 1977: 372). ასე ასრულებს ირანელი მემატიაწე სამ-მირზას გამეფებასთან დაკავშირებული ამბების თხრობას.

აღნიშნულ ინფორმაციასთან შედარებისათვის, თვალი გავადევნოთ პარალელური ცნობების შემცველ სხვა წერილობით წყაროთა მონაცემებს. ამ კუთხით, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე ნაკლებად ცნობილი XVII საუკუნის კიდეც ერთი სპარსული წყარო - მოჰამმად მა'სუმის „ცხოვრების მოკლე აღწერილობა“ („ხულასათ ას-სიიარ“). მის თანახმად, ხოსრო-მირზამ ძალუღად გაამეფა ტახტის ახალგაზრდა მემკვიდრე, რამდენიმე დღით ადრე, მანამ იმხანად მაზანდარანში მყოფი შაჰ აბას I-ის სამეფო კარი დედაქალაქში - ისფაჰანში დაბრუნდებოდა. ავტორი ასეთი აჩქარების მიზეზსაც განმარტავს; კერძოდ, ხოსრო-მირზას თურმე ეშინოდა ამბოხების, რაც მოსალოდნელი იყო მოწინააღმდეგე ძალების დაჯგუფების მხრიდან. საქმე ის იყო, რომ შაჰ აბასის ანდერძის მიუხედავად, სამ-მირზას გამეფების თაობაზე, სამეფო ტახტის პრეტენდენტი მისი სხვა შვილიშვილიც - ნეჯფე-ყული მირზა შეიძლებოდა გამხდარიყო (მოჰამმად მა'სუმი, ფ. 73ა). ეს იყო შაჰ აბასის შუათანა ვაჟის - იმამ-ყული მირზას შვილი, რომელიც აბასის ბრძანებით დააბრმავეს.

როგორც ცნობილია, უფრო მოგვიანო ხანის ქართულ საისტორიო წყაროებში (ბერი ეგნატაშვილი, ფარსადან გორგიჯანიძე, ვახუშტი ბატონიშვილი) ცალსახად ხაზგასმულია, რომ სამ-მირზას გამეფება ხოსრო-მირზას დიდი ძალისხმევის შედეგად მოხდა. ცნობილია ისიც, რომ მადლიერებით აღსავსე ახალგაზრდა შაჰი მას „მამას“ ეძახდა (ფარსადან გორგიჯანიძე, 2023: 303; ცხოვრება საქართველოსა, 1980: 91-92). თავად როსტომიც 1648 წლის სიგელში აფიქსირებს თავის წვლილს სამ-მირზას გამეფებაში. ის საქებარი ეპითეტებით ამკობს უფლისწულს და აღნიშნავს, რომ დიდი ძალისხმევის შედეგად და ღვთის შეწევნით, მან ხელმწიფობის შესაფერისი ღირსეული მემკვიდრე აიყვანა ირანის სამეფო ტახტზე (ქრონიკები, 1897: 536). როსტომის მიმართ შაჰ სეფის განსაკუთრებული კეთილგანწყობის ნათელი დასტური იყო მისი ქართლში გამეფება ვალის ტიტულით, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სანდო და ერთგული პიროვნებისა (გელაშვილი, 2008: 50). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელს ისედაც ეკუთვნოდა ქართლის სამეფო ტახტი, 1632 წელს თეიმურაზ I-ისა და დაუდ-ხან უნდილადის მიერ განჯა-ყარაბაღში ორგანიზებული აჯანყების (რომლის პერიპეტები კარგადაა ცნობილი ისტორიოგრაფიაში) მარცხმა კი მხოლოდ დააჩქარა ამის აღსრულება. იმხანად შექმნილ ვითარებაში ირანის შაჰისთვის უკვე არანაირ სირთულეს აღარ წარმოადგენდა არც ზღვარგადასული უფლებამოსილებით აღჭურვილი უნდილადეთა გვარის თავიდან მოშორება, არც ქართლის სამეფო ტახტიდან თეიმურაზ მეფის გადაყენება და მისი ჩანაცვლება თავისი ერთგული პიროვნებით - როსტომ ბაგრატიონით.

ხაზგასასმელია, რომ ქართველი მემკთიანეები XVI საუკუნისა და XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველო-ირანის ურთიერთობების ამსახველი მოვლენების გადმოცემისას, უმეტესწილად უცხოური და განსაკუთრებით სპარსული წერილობითი წყაროებით სარგებლობდნენ, ძირითადად ეს იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილი ისქანდერ მუნშის ფუნდამენტური ნაშრომი „აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია“ (ისქანდერ მუნშის ცნობები, 1969: 8-9). სპარსული წყაროები, ქართველი მემკთიანეებისგან განსხვავებით, თვითმხილველთა და თანადამხედურთა ცნობებს ემყარებოდა. ამიტომაცაა, რომ მათში უფრო ცოცხლად და დინამიურადაა აღწერილი მოვლენები, ისტორიულ პირთა სულიერი განწყობა, გაცილებით კონკრეტულია მითითებული თარიღებიც და ა. შ.. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სეფიანთა ხანის სპარსულ წყაროებს, ისევე როგორც ზოგადად, შუა საუკუნეების ნებისმიერ წყაროს, ახასიათებთ ტენდენციურობა და საკითხების სუბიექტურად გაშუქება. ამიტომაც ისინი საჭიროებენ ფრთხილ მიდგომას და კრიტიკულ ანალიზს. საამისოდ, სხვა ფაქტორებთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია პარალელური ინფორმაციის შეცველი სხვადასხვა ენაზე არსებულ წერილობითი წყაროების ურთიერთშეჯერება (Фарсибин, 1982: 49-50).

ამ კონტექსტში, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებოა ასევე ევროპულ წყაროთა მონაცემები. XVII საუკუნის ფრანგი მოგზაურისა და ვაჭრის ჟან ბატისტ ტავერნიეს გადმოცემით, შაჰ აბას I-ის გარდაცვალების შემდეგ, დიდებულები სამ-მირზას დედას ეახლნენ

ისფაჰანში. ამ უკანასკნელს ეგონა, რომ ისინი მისი შვილის მოსაკლავად იყვნენ მისულნი. ამიტომაც მან მხოლოდ მას შემდეგ გაატანა უფლისწული დიდებულებს, როდესაც დაარწმუნეს, რომ შაჰ აბასი ნამდვილად გარდაცვლილი იყო და სწორედ მისი ბრძანების თანახმად უნდა გამეფებულიყო სამ-მირზა (Tavernier, 1681: 223). ანალოგიურია გერმანელი სწავლულისა და დიპლომატის ადამ ლეარიუსის ცნობაც, რომელიც ზემოთქმულს უმატებს, რომ დიდებულებს შორის იყვნენ ხოსრო-მირზა და ზეინალ-ხანი. ისინი თურმე სამი დღე უშედეგოდ სთხოვდნენ სამ-მირზას დედას კარის გაღებას, რის შემდეგაც გადაწყვიტეს ძალის გამოყენებით შეჭრილიყვნენ შენობაში. ამის გამგონე მოტირალმა ქალმა მაშინლა გააღო კარი, შვილს კი გამომშვიდობებისას უთხრა: „წადი, შვილო ჩემო, შენი მკვლელების ხელით მამაშენთან, ღმერთი გადაუხდის მათ შენს სამაგიეროს!“ (Олеарий, 1870: 865; ჯავახია, 2005: 81-82). დიდებულები მაშინვე ფეხზე ემთხვივნენ შიშისგან აცახცახებულ სამ-მირზას და გამეფება მიულოცეს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიცვალა დედა-შვილის შიში უზომო სიხარულით, - ასე ასრულებს ამ ამბის თხრობას ა. ოლეარიუსი. 1629 წლის თებერვალში ისფაჰანში - ალიყაფუს სასახლეში დიდი ზარ-ზეიმით, სამ-მირზას შაჰად კურთხევის ცერემონია ჩატარდა (Newman, 2008: 72). „კარმელიტების ქრონიკა“ გვაუწყებს, რომ ახალი შაჰი სამეფო ტახტზე პირველმა ისფაჰანის ქართველმა ტარულამ დასვა, რომელიც გონიერულად მართვდა ამ ქალაქს ესოდენ კრიტიკულ ვითარებაში (A Chronicle of the Carmelites, 1939: 308).

XVII საუკუნის იტალიელი მისიონერებიც აღნიშნავენ ხოსრო-მირზასა და უფლისწულ სამ-მირზას გულთბილ ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის და ჟან ბატისტ ტავერნიეს გადმოცემით, შაჰ სეფი დიდად დავალებული იყო ქართველი ხოსრო-მირზასგან - იგივე როსტომისგან, რადგან მისი წყალობით გამეფდა, სწორედ ქართველთა გვარდიის დახმარებით დაეპატრონა ის ტახტს. სპარსელებს კი მისი გამეფება არ უნდოდათ იმ მიზეზით, რომ მათ საამისოდ სხვა კანდიდატი ჰყავდათ. ჯუდიჩე მილანელის სიტყვით, სამ-მირზას ისინი იმის გამო იწუნებდნენ, რომ მას დედა ქართველი ჰყავდა, რომელიც იმხანად ცოცხალი ყოფილა (ჯუდიჩე მილანელი, 1961: 34; ავიტაბილე, 1977: 46). ეს უკანასკნელი ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება, რამდენადაც ისტორიიდან ცნობილია, რომ სინამდვილეში ქართველი იყო არა სამ-მირზას დედა, არამედ მამამისის - სეფი-მირზას დედა. თუმცა, აღნიშნულ ფაქტს აფიქსირებს ასევე თანამედროვე ირანელი ისტორიკოსი - მოჰამად სემნანი. მისი სიტყვით, თავის დროზე ეს ქართველი ქალი შაჰ აბასისთვის საჩუქრად მიურთმევიათ, მაგრამ რადგანაც ის სეფი-მირზას შეუყვარდა, მამის ნებართვით მან ის გოგო ცოლად შეირთო და ასე მოევიდნა ქვეყანას სამ-მირზა (სემნანი, 1977: 258). ამ ინფორმაციის დასტურად ავტორი მოიხმობს ადამ ოლეარიუსს და ისქანდერ მუნშის. უშუალოდ შაჰ სეფისთან დაკავშირებით კი სემნანი აღნიშნავს, რომ სასახლის კარზე მუსირებდა ვერსია, რომ ეს უფლიწული ბავშვობიდან უზენაესისგან განსაკუთრებული ჭკუა-გონებით და ნიჭით იყო დაჯილდოებული. ამის გამო მისი მოძულე დიდებულები მას მალულად თრიაქს ასმევდნენ, რათა დაუძლურებულიყო

და გონებრივად დაჩლუნგებულიყო, მაგრამ დედამისი, რომელიც კარგად იყო გარკვეული სასახლის ინტრიგებში, მუდამ ფხიზლობდა და შვილს ისეთ წამალს ასმევდა, რომ მას ჯანმრთელობა არ შერყეოდა (სემნანი, 1977: 259-260). ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ სამ-მირზა (იგივე შაჰ სეფი I) საღსალამათი გაიზარდა და ირანის შაჰიც გახდა. თუმცა, იმავდროულად წერილობით წყაროებში და ისტორიოგრაფიაში (მათ შორის - ირანულშიც) ის ცალსახად დახასიათებულია, როგორც მეტად ჭირვეული, უხასიათო და გულქვა პიროვნება, სისხლიანი ტირანი და დესპოტი მმართველი, რომელსაც თავისი პაპის არც ნიჭი მოსდგამდა და არც სახელმწიფოს მართვის მონაცემები გააჩნდა (The Cambridge History of Iran, 1986: 281). რამდენადაც ეს უკვე საუბრის სხვა თემას წარმოადგენს, ეს საკითხი ცალკე იქნება განხილული.

დასკვნა

სხვადასხვა წერილობით წყაროთა მონაცემების შედარება მირ თემურ მარაშის ნაშრომში დაცულ ცნობასთან, ნათლად გვიჩვენებს, რომ ის გარკვეულწილად განსხვავებულია. კერძოდ, მის თანახმად, ხოსრო-მირზა თავდაპირველად წინააღმდეგი იყო სამ-მირზას გამეფების. თუმცა, ცხადია, რომ ეს გამოწვეული იყო არა პიროვნულად უფლისწულის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებით, არამედ მისი განსაკუთრებული სიფრთხილით, წინდახედულობით და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით სეფიანთა სახელმწიფოსთვის ისეთ მნიშვნელოვან მომენტში, როგორც იყო ქვეყნის უზენაესი ხელისუფალის სამეფო ტახტზე დასმა. საბოლოოდ, სასურველი საბუთის მიღების შემდეგ კი სწორედ ხოსრო-მირზასა და მისი მომხრე სხვა დიდებულების წყალობით, სისხლისღვრისა და დაბრკოლების გარეშე, სამ-მირზამ ირანის სამეფო დაიკავა. ამას ცალსახად აფიქსირებენ სხვადასხვა ენაზე არსებული წერილობითი წყაროები.

რაც შეეხება მირ თემურ მარაშის ნაშრომში არსებული ცნობების სანდოობას, უნდა აღინიშნოს შემდეგი: ხსენებული სპარსული წყაროს გამომცემელი, ცნობილი ირანელი მკვლევარი მანუჩერ სეთუდე ხაზს უსვამს, რომ მარაშის მიერ აღწერილ მოვლენათა თანამედროვე, ზოგ შემთხვევებში კი თვითმხილველიც იყო (მირ თემურ მარაში, 1977: 14-15). მართლაც, ეს ნათლად იკვეთება თავად წყაროში მითითებული ავტობიოგრაფიული ხასიათის ცნობების, სვადასხვა თარიღების, მოვლენებისა და ფაქტების თანადროულობის ანალიზის საფუძველზე. ნაშრომიდანვე ვგებულობთ, რომ მის ავტორს ხელი მიუწვდებოდა სახელმწიფო დოკუმენტებზე, არქივზე, სხვადასხვა ფირმანებზე, რომლებსაც თავისი ნაშრომის შედგენისას იყენებდა. ამასთან ერთად, მას არაერთგზის აქვს მოხმობილი ისეთ პირებთან საუბრის ამონარიდები ან იმათგან გაგონილი ამბები, ვინც უშუალოდ იყვნენ ჩართულნი სეფიანთა სამეფო კარზე მიმდინარე მოვლენებში. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ მარაში მოვლენათა მშრალი აღწერებით არ კმაყოფილდება და ცდილობს მათი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების მისეული ხედვით წარმოჩენას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, „მაზანდარანის მარაშის საგვარეულოს ისტორია“ ძვირფას პირველწყაროს წარმოადგენს (იგულისხმება არა მხოლოდ წინამდებარე პუბლიკაციაში

წარმოდგენილი ერთი ცნობის გამო) როგორც კონკრეტული პერიოდის საქართველო-ირანის ურთიერთობების კვლევის თვალსაზრისით, ისე თავისი შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარე, ფართო სპექტრის მქონე ფრიად მნიშვნელოვან საისტორიო ნაშრომს. თუმცა, ეს არ გამოირიცხავს, რომ ნებისმიერი საისტორიო წყაროს მსგავსად, ის საჭიროებს სათანადო კრიტიკულ ანალიზს, რის შედეგადაც, დღევანდელი გადასახედიდან, შესაძლოა, ახლებურად გაშუქდეს შორეული წარსულის ცალკეული, უკვე ცნობილი არა ერთი ისტორიული ფაქტი თუ მოვლენა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ავიტაბილე, დონ პიეტრო (1977). *ცნობები საქართველოზე* (XVII ს.). შესავალი, თარგმანი და კომენტარები ზ. გიორგაძის. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

გელაშვილი, ნ. (2006). XVII საუკუნის სპარსული თხზულებები საქართველოს შესახებ. *აღმოსავლეთი და კავკასია*. #4. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გელაშვილი, ნ. (2008). ქართველი მეფე-მთავრები და შაჰ სეფი I (1629-1642). *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, V. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“.

ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. (1969). სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

მირ თემურ მარაში (1977). *თარიხ-ე ხანედან-ე მარაში-ე მაჰანდარან*. ბე თასპიჰ-ე დოქთორ მანუჩერ სეთუდე. თეჰრან (სპარსულ ენაზე).

მოჰამმად მა'სუმი. ხულასათ ას-სიიარ. პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილება. მიკროფილმი #127 (სპარსულ ენაზე).

სემნანი, მოჰამმად აჰმად ფენაჰი (1371). *შაჰ აბბას-ე ქაბირ - მარდ-ე ჰეზარ ჩეჰრე*. თეჰრან (სპარსულ ენაზე).

ფარსადან გორგიჯანიძე (2022). *საქართველოს ცხოვრება*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობის (1897). შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II. თბილისი: „გამოცემა კ. ი. მუხრან-ბატონისა“.

ცხოვრება საქართველოს (პარიზის ქრონიკა) (1980). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ჯავახია, ზ. (2005). *საქართველო და ქართველები ადამ ოლეარიუსის მოგზაურობის წიგნში*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

ჯუდიჩე მილანელი, დონ ჯუზეპე (1964). *წერილები საქართველოზე, XVII საუკუნე*. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ზ. ჯავახიამ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

A Chronicle of the Carmelites in Persia and the Papal Mission of the XVIIth and XVIIIth centuries (1939). Vol.I, London: Publisher “Eyre and Spottiswoode”

Newman, A. J. (2006). *Safavid Iran. Rebirth of a Persian Empire*. London-New York: publisher „I.B. Tauris“.

Tavernier, Johann Baptista (1681), *Beschreibung der sechs Reisen in Turkey, Persien und Indien*, Genf: publisher “Widerhold”.

The Cambridge History of Iran. Vol.6 (1986). Edited by P. Jackson and L. Lockhart. London: „Cambridge University Press“.

Олеарий, А. (1870). *Подробное описание путешествия Голштинского посольства в Московию и Персию в 1633, 1636 и 1639 годах*. Перевёл с немецкого П. Барсов. Москва: издательство «Московский Университет».

Фарсобин, В.(1982). *Источниковедение и его метод*. Москва: издательство «Наука».

REFERENCES

Avitabile, Don Pietro (1977). *References to Georgia (17th century)*. Introduction, translation and comments by B. Giorgadze. Tbilisi: Publishing house “Metsniereba” (in Georgian).

Gelashvili, N. (2006). Persian historical sources of 17th Century about Georgia. *The Orient and the Caucasus*. #4. Tbilisi: “Tbilisi University Publishing House” (in Georgian).

Gelashvili, N. (2008). Georgian Kings-Royals and Shah Safi I (1629-1642). *The Near East and Georgia*, V.Tbilisi: Publishing House “Neckeri” (in Georgian).

Iskander Munsh's Notes on Georgia (1969). The Persian text was published with a Georgian translation and introduction by Vl. Puturidze. Tbilisi: Publishing House “Metsniereba” (in Georgian).

Mir Temur Marashi (1977). *Tarikh-e Khanedan-e Marashi-e Mazandaran*. Published by doctor Manuchehr Setudeh. Tehran (in Persian).

Mohammad Ma'sum. *Khulasat as-Siyar*. Manuscript Department of the St. Petersburg Institute of Oriental Studies. Microfilm #127 (in Persian).

Semnan, Mohammad Ahmad Fenahi (1371). *Shah Abba the Great - The Man with a Thousand Faces*. Tehran (in Persian).

Parsadan Gorgijanidze (2022). *The Life of Georgia*. The text was prepared for publication, the research, comments and indexes are provided by Giuli Alasania. Tbilisi: Publishing house “The University of Georgia” (in Georgian).

Chronicles and other materials on the history and writing of Georgia (1897). Collected, chronologically arranged and explained by T. Zhordania, II. Tbilisi: Publishing house „K. I. Mukhran-Batonis“. (in Georgian).

The Life of Georgia (Paris Chronicle) (1980). The text was prepared for publication, with notes and indexes added by Giuli Alasania. Tbilisi: Publishing house “Metsniereba” (in Georgian).

Javakhia, B. (2005). *Georgia and the Georgians in the Travels Book of Adam Olearius*. Tbilisi: Publishing house "Univrsal" (in Georgian).

Giudice of Milan, Don Giuseppe (1964). *Letters on Georgia. 17th century*, Italian text translated, preface and notes added by B. Giorgadze, Tbilisi: Publishing house "Metsniereba". (in Georgian).

A Chronicle of the Carmelites in Persia and the Papal Mission of the XVIIth and XVIIIth centuries (1939). Vol.I, London: publisher "Eyre and Spottiswoode"

Newman, A. J. (2006). *Safavid Iran. Rebirth of a Persian Empire*. London-New York: publisher: I.B. Tauris

Tavernier, Johann Baptista (1681). *Description of the six journeys in Turkey, Persia and India*. Geneva: publisher "Widerhold" (in German).

The Cambridge History of Iran. Vol.6 (1986). Edited by P. Jackson and L. Lockhart. London: "Cambridge University Press".

Olearius, A. (1870). *Detailed description of the journey of the Holstein embassy to Muscovy and Persia in 1633, 1636 and 1639*. Translated from German by P. Barsov. Moscow: "Moscow University Publishing House" (in Russian).

Farsobin, V. (1982). *Source Studies and its Method*. Moscow: Publishing house "Nauka" (in Russian).

NANA GELASHVILI
FOR THE INTERPRETATION OF THE ONE INFORMATION
OF MIR TEMUR MARASHI

Abstract

Information about the historical relations between Georgia and Iran is preserved in written sources in different languages. Persian historical writings are especially important among them. This is primarily conditioned by the centuries-old historical relations between the two countries. It must be stressed, that these relations were mostly hostile. However, there were also periods of peaceful diplomatic and cultural terms between them. As it is known from the history, in the XVI-XVII centuries, Georgia was one of the main arenas of ongoing wars between Iran and the Ottoman Empire, which greatly aggravated the situation of the country divided into kingdoms, caused its economic and cultural degradation. Accordingly, cultural and spiritual values in Georgia were pushed to the background. In contrast to the crisis situation in Georgia, Safavid Iran was a powerful empire at that time. Along with the successful development of various fields, Persian historical writing was also at the zenith of prosperity. Therefore, the Georgian chroniclers of the later period, when narrating the events of relations between Georgia and Iran in 16th and the first half of 17th centuries, primarily used exactly Persian written sources, whose authors were contemporaries or in some case even participants of the events described in their works.

Due to the actuality of studying and researching of Persian written sources, most of them are well known in Georgian scientific literature, although a certain

part still needs to be studied and brought into scientific circulation as a result of proper critical analysis. Among them, deserves special attention the work of Mir Temur Marashi, an Iranian chronicler of the 17th century, “The History of the Mazandaran Marashi family” („Tarikh-e khandedan-e Marashi-e Mazandaran”), which, along with rich factual material depicting the political, socio-economic and cultural spheres of the Safavid state, contains interesting information about Georgia and Georgians living in Iran. This time, our attention is focused on one account preserved in the mentioned work, which relates to the events that developed in Iran at the time of the death of Shah Abbas I (in 11629). Specifically, the issue refers to the position of Georgian nobleman promoted in Iran - Rostom (the same Khosro-Mirza Bagrationi) and the measures implemented by him regarding the enthronement of the grandson of Shah Abbas I- Sam-Mirza. The information is noteworthy and interesting from the point of view that the author provides completely different information about this important historical event, the like of which is not recorded in other sources. In particular, the Iranian author describes in detail how and why Khosro-Mirza opposed the enthronement of Sam-Mirza. However, in the end, it was with his confirmation that the above-mentioned prince ascended the throne of the Safavid state in the name of Shah Safi I (1629-1642).

The information of our interest preserved in Mir Temur Marashi’s work, is compared with written sources in different languages containing parallel references. Based on their critical analysis and also taking into account the logical development of events in a specific historical situation, relevant conclusions are drawn in the paper.

Keywords: Georgia, Sam-Mirza, Marashi, Mazandaran, Khosro-Mirza.